Mითქმის ორი თვე ელიან ღვთის მოწყალებას, მაგრამ ნამის ნაშანი არსაიდან სჩანს... მთლად გაიტრუსა ედდა-მიწა, გადახმა თითქმის მთელი ტყეები, გახდა და ძლივს-და მოძრაობს საქონელი; ხალხი დაიარება ლანდივით...

სოფლის მოძღვარმა რამდენჯერმე კიდეე შემოიარა ჯვრითა და ხატით ახლო ტყე-მინდორი და ღმერთსა სთხოვდა, რომ მოწყალების თვალით გადმოხედა დაჩაგრული ქვეყნისათვის; ხალხი გროვად დასდევდა მოძღვარს თან და სასოებით ეეედრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, გამოჩნდა ლაჟვარდ ცაზე პატარა, ბამბის ქულასავით, მკრთალი ღრუბელი და წყნარად მოცურავს თვალ მიუწვდენელ სიმაღლეზე. აი, იმედ გაწყვეტილმა სოფელელებმა დაინახეს იგი და რაღაც სიხარულის ნათელმა გაურბინათ შეწუხებულს გულში... აჰა, მოახლოვდა, შიმშილისაგან დამხსნელი იმედი... პატარა ღრუბელი, ერთი წამი და იქნება, გაქრეს უსაზღვრო ცის სივრცეში... მაგრამ არა, არ იმტყუნებს იგი და ჩამოუშვებს მაცოცხლებელს შხაპუნა წვიმას...

— ნუ სწვალობ ამოდ! ჩასჩურჩულებს ღრუბელს გახურებული მზის სხივი. რა გენაღვლება, იმათ იქ იწუხონ? რას დასდევ შენ მათ სიცოცხლეს? შენ აქ თავ-მოწონებული დაცურავ წმინდა ლაჟვარდზე და ისინი იქ დახეტიალობენ ნაგავში... რის გამოსადეგნი არიან ისინი შენთვის? შენ თვითონ ხომ თან გადაჰყვები გამოხსნას. შენთვის უფრო კარგი არის აქ ცურვა, ჩვენთან თამაშობა, დაუდეგარ ქართან ნავარდობა და ამ გვარად სიცოცხლის მხიარულად გატარება!

— მაგი დაანებე მაგ შენს სურვილსა, ეუბნებოდა პატარა ღრუბელს მასზედ მბერავი ნიავი: დეე, დაიხოცნენ შიმშილით, შენ რა?... დაჰმარჩილდი ისევ ჩემს მიმდინარეობას და გახარებული იცურეე მზის სხივებში...

მაგრამ თეთრი ღრუბელი უფრო შეიკუმშა, შეაქცია ზურგი მომცარავ მზის სხივს და მომთამაშე ნიავს, გაიშალა და სრულიად გაშავდა. ბოლოს მთლად დაჰფარა ცელქი სხივები და სრულიად ყურს აღარ უგდებდა იმათ მოსაწყენ ჩურჩულს: „მოკვდები... დაიღუპები... რაზე იმეტებ თავს სხვისა გულისთვის... გაზსოვდეს მარტო შენი თავი, იცხოვრე მარტო შენთვის“...

არ უგდებდა ყურს პატარა ღრუბელი თავის ციურ მეგობრებს და მალიად გადაკეთდა დიდ და კუპრივით შავ ღრუბლად, რომელიც მძიმედ თავ-მოწონებული კეთილ-განზრახვით დაუახლოვდა გატრუსულ მინდერებს და მათზედ მდებიერ სოფლებს... აი, განჩდა ჯერ ძნელად გასაგონი, ხანგრძლივი მძიმე გრგვინვა; აი, მოუხშირა და თან გაეკრა მთას; აი, კიდევ იმატა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეიძრა ცა და დედა-მიწა: მთელს არე-მარეში განუწყვეტელი ჭექა-ქუხილის ხმა ასტყდა; ერთი იელვა, დაყოლა მეორე, ააჭრელა გველივით დაკლაკნილმა ელვამ დაბნელებული მიდამო, კიდევ იჭექა, კიდევ იელვა, კიდევ და კიდევ... და ბოლოს, თითქოს მოიქანცა მთელი ბუნება, გადმოუშვა მხაპუნა წვიმა.

Დიდ ხანს მოდიოდა წვიმა და უჯდებოდა ყოველ მიმჭკნარ ბალახის ფესვს, ალბობდა მუხის, რცხილის, წიფლის და სხვა მცენარეების ძირებს, რომელნიც ხარბად ეწაფებოდენ წვიმის წყალს და მით გრილდებოდენ... Თავისუფლად ამოისუნთქეს ხეებმა, გამწვანდა და გაბიბინდა ბალახი, აიღეს მაღლა მარგალიტი თავები ყვავილებმა; შემოსძახეს გალობა ფრინველებმა, გამოცოცხლდა გოგო-ბიჭობა გზებზედ, დაგუბეს მოვარდნილი პატარა რუები, აბრუნდა პატარა წისქვილები; ზორს მოისმის ამ ბალღების სიცილი და სიხარულის კიჟინა; გაცოცხლდა მინდორი, გაცოცხლდენ სოფლები... მხიარულია მიდამო...

ამ კეთილი საქმის შემდეგ, ღრუბელი წყლად-ქცეული მართლაც მოკვდა; ეს სიკვდილი გასახარელი იყო მისთვის. Იგი სდნებოდა და თან უყურებდა ცხოველთა და მცენარეთა სიხარულს; იგი ჭვრეტნობდა, რომ თვით ჰქრებოდა სივრცეში, მაგრამ არა უმნიშვნელოდ: გამწვანებული ბალახი, გაცოცხლებული ბუნება, გახარებულად მომცინარე პირის სახე სოფლელებისა— მისი საქმე იყო...

მართალია, იქ, მაღლა, გაჰქრა ღრუბელი, აღარა სჩანს, მაგრამ აქ, დაბლა, პატარ-პატარა ნამებით განაგრძო მან თავის სიცოცხლე ყოველ ბუჩქის ძირში, ყველა პატარა ბალახებში და ყოველ დიდსა და პატარა ცხოველებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაერი და მისი თვისებანი.

გაკეთებული სხეულთა სამ რიგობად.

ვინო, წყალი, ზეთი, ყინული, ქვა, ხე, რკინა, ჯანელი ანუ ლრუბელი, კომლი, რასაკვირველია, ყველას უნახავს და ყველას გაგონილი ექნება სიტყვა ჰაერი.

ამათ ეძახიან სხეულებს; ასე რომ ქვაც სხეულია, რკინაც, წყალიც, ლრუბელიც, კომლიც, ჰაერიც და სხვებიც.

ამ სხეულებს გარდა ბევრი სხვაც არის, რომლებიც ორი თვე რომ ესთვალოთ, ვერ ჩამოვსთვლით. მრთის სიტყვით, შინა ვართ, თუ გარეთ, ჩვენ უეჭველად ვხედავთ რომელიმე სხეულს. აიღეთ, მაგალითად, მიწა—ეს სხეულია, ნაკარი—ესეც სხეულია, მატყელი, ბამბა, ნახშირი, მინა—ესენი სულ სხეულებია.

ეველამ აგრეთვე კარგათ ვიცით, რომ ზოგი სხეულები ერთმანერთისა ჰგვანან, ზოგი განირჩევიან. როცა გვსურს შევიტყოთ ჰგავს, თუ განირჩევა ერთმანერთისაგან ორი ს ა გ ა ნ ი, ჩვენ იმათ შევადარებთ ხოლმე. შევადაროთ, მაგალითად, ნახშირი და წყალი. მინ არ იტყვის, რომ ამ ორ სხეულს შუა დიდი გარჩევა ანუ განსხვავებაა? რათა? იმიტომ რომ ნახშირი მაგარია, წყალი კი არა; ნახშირი ო რ ი თ ი თ ი თ შეიძლება ავიღოთ, წყალი კი უკურკლოდ არ აიღება; ნახშირი, საცა გინდა და რაზედაც გინდა დასდო, ერთ ადგილზედ დარჩება, არ გაიშლება, წ ალი კი ფიცარზედ ან სხვა რაზედმე რომ წამოასხა, მაშინვე დაიღვრება; ნახშირი შავია, წყალი კი (თუ წმინდაა) უფერულია; ნახშირს ცეცხლი ეკიდება, წყალს კი არა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყალს შეუძლია ორთქლად გარდაიქცეს, ნახშირს კი არა,— ერთის სიტყვით, დიდი, დიდი განსხვავებაა ამ ორ სხეულს შუა.

ზანა მარტო ამათ შუაა ესეთი განსხვავება? არა. სხვა სხეულებშიაც შეგვიძლიან აღმოვაჩინოთ ისეთი ნიშნები, რომლებითაც ერთი სხეული მეორისაგან განირჩოდეს. აბ ილოთ, მაგალითად, ქვა და კომლი. ქვა მძიმეა, კომლი კი მსუბუქი; ქვა მაგარია, კომლი კი არა; ქვა შეგვიძლია უჭურ ჭლოდ ავიღოთ ხელში, კიდეც გადავაგდოთ, კომლი კი უჭურ ჭლოდ არ აიღება: მას უნდა შევროვება და ისეთს ჭურჭელში მოთავსება, რომელიც ყველა მხრიდამ დახურულია. ასე რომ გავაგ-ძელოთ შედარება, ჩვენ ამ ორ სხეულს შუა დიდ გარ ჩევას ვიპოვით უეჭველად.

ყველა ის ნიშნები, რომლებითაც ჩვენ ერთ სხეულს მეო რისაგან ვარჩევთ, შეადგენს სხეულის თვისებას.

რა ნიშნებით გავარჩიეთ, მაგალითად, ნახშირი წყლისა გან? იმითა, რომ ნახშირი მაგარია, წყალი არა; ნახშირს ცეცხ ლი ეკიდება, წყალს არა; ნახშირი ორი თითით უჭურჭლოდ აიღება, წყალი არა; ნახშირი შავია, წყალი უფერულია; ნახ შირში სინათლე არ გადის, წყალში გადის (წყალი გამჭვირვა ლეა) და სხვ. სიმაგრე, ცეცხლის მოკიდება, სიშავე, სიმძიმე,— ესენი ერთად შეადგენენ ნახშირის თვისებებს.

თუ ორი ანუ რამდენიმე სხეული თვისებებით ერთნი არიან, მაშინ ვამბობთ: ესა და ეს სხეულები ერთმანერთისა ჰგვანანო; თუ სხვა-და-სხვა თვისებები აქვსთ, მაშინ ვამბობთ: იგინი გა ნირჩეულიანო.

მოვიგონოთ ყველა ის სხეულები, რომლებიც თავშიეე ჩამოვთვალეთ. აღვილად მიეხედებით, რომ ამ სხეულებში ზოგთ ერთნაირი თვისებები აქვსთ, ზოგთ კი არა. ქვა, ხე, ნახშირი, რკინა და ყინული ჰგვანან ერთმანერთისა, რადგანაც ყველა ამათ აქვსთ საერთო თვისება სიმაგრე. ამ თვისებით, ესე იგი, სიმაგრით, თვითეული ამ სხეულთაგანი განირჩევა, მაგალი თად, წყლისაგან, ზეთისაგან, ღვინოსაგან და სხვ. მაგრამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყალს, ზეთს, ღვინოს სამაგიეროდ აქესთ ისეთი საერთო თვისება, რომელიც არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ სხეულთაგანს არა აქეს: ესენი იღვრებიან, როდესაც ჭურჭელს წამოაქცევენ ხოლმე. ქვას, ხეს, რკინას, და ნახშირს კი დაღვრა არ შეუძლიანთ. ბარდა ამისა, წყალი, ღვინო და ზეთი უჭურჭლოდ არ წაიღებ-წამოიღება; ამათი ჭურჭელი შეიძლება იყოს ახდილი მხოლოდ ზევიდგან; თუ გვერდიდგან ან ქვემიდგან გახვრეტაეთ ჭურჭელს, მაშინათვე დაიღვრება.

ეხლა ჩვენ გავიცანით სხეულების ორი რიგობა: პირველ რიგობას ეკუთვნიან მაგარი სხეულები, როგორც, მაგალითად, ქვა, რკინა, ყინული და სხვა; მეორე რიგობას ეკუთვნიან: წყალი, ღვინო, ზეთი, ვერცხლის წყალი და სხვა, რომლებსაც საერთოდ ეძახიან საღვრელ სხეულებს.

პირან აგრეთვე ისეთი სხეულები, რომლებიც განირჩევიან, როგორც პირველის, აგრეთვე მეორე რიგობის სხეულებისაგან; მაგალითად: ორთქლი, კომლი, ჰაერი და სხვ. შეიძლება ორთქლი, კომლი ან ჰაერი დავღვაროთ? შეიძლება ამ სხეულების გადატან-გადმოტანა თავ-დაუხურავ ჭურჭლებით? არამც თუ ამ გვარად მათი გადატან-გადმოტანა არ შეიძლება, არამედ კარგა მაგრა უნდა ჭქონდეს ჭურჭელს პირი დაკული, თორემ ერთ წამსაც ვერ დააყენებ იმათ: მაშინათვე ისე გაიფანტებიან, რომ თვალსაც ველარ მოეკრაეთ. ამ რიგობის სხეულებს, როგორც არიან: ორთქლი, კომლი და ჰაერი, ჭქვიანთ საერთო სახელი ჰაერგვარი (გაზი).

ამ სამ რიგობად იყოფებიან ყველა სხეულები, რომლებიც კი მოიპოვებიან დედა-მიწის ზურგზედ. რომელიც გინდა სხეული აიღო, იგი ან მაგარი უნდა იყოს, ან საღვრელი ან ჰაერგვარი.

მე მსურს, ჯერ-ჯერობით, მოგელაპარაკოთ მხოლოდ ერთ სხეულზედ, რომელსაც ჭქვია ჰაერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ქ რ ი.

თავი I.

ჰაერი, როგორც ზემოთა ვსთქვით, არის გაზი; სადაც გინდა წახვიდეთ, უეჭველად თქვენს გარეშემო ჰაერი იქნება. მაგრამ თქვენ იმას ვერცა ჰხედავთ და ვერც დაინახავთ; მაშ როგორ გაიგებთ, რომ იგი არის, არსებობს? სუნთქვის დროს თქვენ გრძნობთ, რომ პირში რაღაცა გრილი შედის. Oვითონ ეგ არის ჰაერი. სუნთქვა თქვენ ყველგან შეგიძლიათ, მაშასადამე ჰაერიც ყველგან არის. Aბა, სცადეთ ან ხელი გაიქნეთ, ან პატარა მანძილი გაირბინეთ: ხელებზედ და სახეზედ თქვენ მაშინათვე იგრძნობთ ჰაერის შეხებას. Eს თქვენ შეგიძლიანთ სცადოთ ყველგან,—მაშასადამე ჰაერი არის, არსებობს ყველგან.

Oქვენი სუნთქვა თქვენ გიჩვენებთ, რომ ჰაერი ყველგან ერთნაირი არ არის და იცვლება ხოლმე. Eკლესიებში, კლასებში და საერთოდ იმ ოთახებში, სადაც ბევრი ხალხი იკრიბება, სუნთქვა გიჭირდებათ, სული გეხუთებათ. Eისაც ზაფხულობით დიდ ქალაქში უცხოვრია, იმას ეხსომება, თუ რა სამძიმია და საძნელო იქ ცხოვრება ზაფხულობით. Aმიტომ, ვისაც შეძლება ნებას აძლევს, იმ დროს სოფლებისაკენ მიეშურებიან, სადაც ჰაერი გაცილებით კარგია ხოლმე. ზაფხულში მინდვრიან და ტყიან ადგილებში ჰაერი სასიამოვნოა, სუფთაა და ამიტომ კაცის ჯანისათვის მშრგებელიც. ხშირად ექიმი ავადმყოფებს მოსარჩენად ჰგზავნიან ხოლმე იმისთანა ქვეყნებში, სადაც შედარებით სხვა ქვეყნებთან ჰაერი სუფთაა.

ჰაერითა სუნთქავენ ყველანი; მაშასადამე, ჰაერი ყველასათვის საჭიროა. Yველაზედ იგი მოქმედობს; მხოლოდ ზოგზედ კარგად, ზოგზედ ავად; ჰაერზედ არის დამოკიდებული კაცის ჯანის სიმრთელე; არამც თუ კაცისა, არამედ ყველა ცხოველების და მცენარების კეთილ-დღეობაც კი არის დამოკიდებული ჰაერზედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენ ეხლა, უეჭველია, ჰხედავთ, თუ რა დიდად საჭიროა გაიგოთ, რა არის ჰაერი, რა და რა ცვლილება მოსდის მას? რათ არის ესე, რომ ზოგან კაი, სასარგებლო ჰაერია, ზოგან ცუდი, მავნებელი?

როგორ გაეიგოთ, რა არის ჰაერი? როგორ გაეიგოთ, რანაირად, რა გვარად იცვლება ჰაერი?

მე შემეძლო თქვენთვის მეამბნა ყველაფერი, რაც კი მსწავლულმა ხალხმა ანუ მეცნიერებმა უკვე შეტყყეს ჰაერზედ, მაგრამ შეიძლება თქვენ მე არ დამიჯეროთ არაფერი. სჯობს ისევ თქვენი საკუთარის შრომით შეიტყოთ ყველაფერი ჰაერზედ და იქნება იმაზედ მეტიც გაიგოთ, ვინემ მე გეტყოდით. მე მხოლოდ პატარა შემწეობას მოგცემთ.

ეს კი გახსოვდეთ, რომ ჰაერის ყველა ცვლილებას ეძახიან მ ო ვ ლ ე ნ ა ს.

თუ ცვლილებას თვითონ ჩვენ მოვახდენთ, მაშინ ესთქვათ, რომ ჩვენა ეს ც დ ი თ.

თ ა ვ ი II.

ც დ ა I-ლი. ჩაასხით ჯამში წყალი; ჯამი ცოტა ფართო დ ღრმა ამოარჩიეთ. ჩააგდეთ წყალში პრობკა ანუ სპიჩკა; პრობკა არ დასძირავს; იგი მოიტივტივებს. მერე აიღეთ სტაქანი, დააპირქვაეთ და ისე ჩაუშვეთ წყალში, რომ პრობკა სტაქანში მოჰყვეს. სტაქანი ძირამდის დაიყვანეთ, როგორც არის ნაჩვენები I-ველ სურათზედ.

სურ. 1.

თქვენ შენიშნავთ შემდეგს: წყალი სტაქანში არ შევა. ამაში დაგარწმუნებთ თქვენ თვით ის პრობკა, რომელიც სტაქანში არის მომწყვდეული.

აბა იფიქრეთ, რა უშლის წყალს სტაქანში შესვლას? სტაქანში არის ჰაერი. ჰაერი ეფრსაიდან გამოსულა: ქვემოდამ მას უშლის წყალი, აქეთ-იქიდამ და ზემოდამ უშლის გვერდები და ძირი სტაქანისა. აი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სწორედ ეს ჰაერი უშლის წყალს სტაქანში შესვლას. აბა, დააცქერდით, როგორ მაღლა ამოიწია ჯამში წყალმა, როდესაც თქვენ სტაქანი ძირს ჩაუშვით. რათ ამოიწია წყალმა? იმიტომ რომ ის ადგილი, რომელიც აქამდის მარტო წყალს ეჭირა, ახლა ჰერმაც დაიჭირა. ახლა აიღეთ ჯამი სულ თავამდის და ისე ჩაუშვით სტაქანი შიგ, როგორც წელან. რა მოუვა წყალს?

ეს სცადეთ რამდენჯერმე; მხოლოდ სტაქანს მაგივრად აიღეთ შუშის ანუ მინის ქილა, ბოთლი, საწერელი ანუ სხვა. მეთეფული ეს ჭურჭელი, როგორც ზემოთა სცადეთ, დაპირქვავებული ჩაუშვით წყალში. აქაც შეამჩნევთ თქვენ, რომ წყალი არ შედის ჭურჭელში.

მე გირჩევთ მინის ჭურჭელი იხმაროთ (სტაქანი, ბოთლი), რადგანაც ამათში ყველაფერი კარგათ გამოჩნდება,—მინა ანუ ჭიქა გამჭვირვალეა.

ცდა 2-რე. აიღეთ ცარიელი ბოთლი. ამოარჩიეთ ისეთი პრობკა, რომელიც კარგა მაგრა ეცობა ამ ბოთლს. პრობკა მგრგვლად გახვრიტეთ. იმ სიგანეთ კი უნდა გაიხვრიტოს, რომ პატარა ძაბრის ლულამ მჭიდროდ გაიაროს ნახვრეტში. როდესაც ძაბრის ლულას პრობკას გაუბნევთ, აიღეთ და ამ პრობკით ბოთლს პირი დაუცვით, როგორც არის ნაჩვენები მე-2 სურათზედ.

სურ. 2.

შენიშვნა. შეიძლება ბრობკის მაგიერად მჭარი იხმაროთ: ეს მჭარი მაგრა შეიფოსვიეთ ძაბრის ლულას და ისე დაუცვეთ ბოთლს.

აიღეთ ნახევრად ან მეტად ეს ძაბრი წყლით. წყალს წვრილ-წვრილად კი ნუ დაასხამთ, არამედ უცებ, ბლომად.

ჩავა თუ არა წყალი ძაბრიდამ ბოთლში? რატომ არ ჩადის? ამიტომ რომ ბოთლი სავსეა ჰაერით. ჰაერი ვერ გამოსულა კარში. იგი უშლის წყალს ბოთლში ჩასვლას. აბა, დააკვირდით, რა გზით შეიძლება ბოთლში წყალი ჩავიდეს?—საჭიროა მხოლოდ როგორმე ჰაერს გამოსასვლელი გზა მიეცეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცდა 3-მე. სცადეთ ესეც. **აიღეთ** ყელ-განიერი ქილა. **ი**შოვეთ ისეთი პრობკა, რომლითაც შეიძლებოდეს ამ ქილის პირის დაცობა. პრობკა ორ ადგილას გახვრიტეთ. **ერთ** ნახ-

სურ. 3

ვრეტში გაატარეთ ძაბრის მილი, **მეორეში**—ჭიქის ან მინის მილი კუთხად მოხრილი. **საჭ**ィროა, **რ**ომ ძაბრი და მილი ნახვრეტებში გაჭედილები იყვნენ. **ი**ითით დახურეთ მილის ბოლო და **უცებ** ჩაასხით ძაბრში **წ**ყალი, ნახევარზედ **უფრ**ო მეტი. **წ**ყალი ქილაში **არ** ჩავა. **რ**ატომ? **მ**ოაშორეთ თი-თი. **რ**ა მოუვიდა **წ**ყალს? **წ**ყალი ჩავიდა ქილაში, **რ**ადგან ჰაერს ეხლა გამოსასვლელი გზა მიეცა ჭიქის მილით. **ს**ცადეთ **რ**ამდენჯერმე: ხან მიაფარეთ თითი, ხან მოაშორეთ, თქვენ ერთსა და იმასვე ნახავთ.

პირველ ცდა**შ**ია**ც** ეს იყო: ჭურჭელიდგან ჰაერი ვერ გამო-დიოდა და ამიტომ **წ**ყალი ჭურჭელში ვერ ჩადიოდა, **რ**ადგანაც ჰაერი **უ**შლიდა. **რ**ა მოუვა **წ**ყალს იმ **შ**ემთხვევაში, **რ**ომ ჰაერი ჭურჭლიდგან **რ**ოგორმე გამოეცალოთ?—**ი**სა, **რ**ომ თავისუფ-ლად ჩავა ჭურჭელში. **ი**უ ჰაერს გამოყვანის შემდეგ **წ**ყალი თავისუფლად ჩადის ჭურჭელში,— ეს იმას ნიშნავს, **რ**ომ მარ-თლა მას **უ**შლიდა ჰაერი და არა სხვა **რ**ამ მიზეზი.

ცდა 4-ხე. **ზ**ამეორეთ **პ**ირველი ცდა. **ჩ**აუშვეთ **წ**ინანდე-ბულად სტაქანი **წ**ყლით სავსე ჯამში ანუ სხვა **რ**ამ ჭურჭელში ძირამდის. **მ**ერე სტაქანი ცოტათი გვერდზედ გადახარეთ. **წ**ყალ-შივე **რ**ას ამჩნევთ? **წ**ყლიდამ მაღლა დიდი ბუშტი ამოვიდა. **ეს** გა-ხლავთ ჰაერი. **ა**ხლა ისევ გაასწორეთ სტაქანი, **რ**ოგორც იდგა; თქვენ ჰხედავთ, **რ**ომ **წ**ყალი ცოტათი **შ**ევიდა. **ზ**ადახარეთ ისევ სტაქანი; კიდევ ჰაერით სავსე ბუშტი ამოვარდება. **ბ**ასწორეთ ახლა სტაქანი,—**წ**ყალი **უ**ფრო მაღლა აიწევს სტაქანში. **რ**ათა? **ი**მიტომ **რ**ომ სტაქანიდამ ჰაერის ცოტაოდენი ნაწილი. კიდევ გამოვიდა. **რ**ამდენჯერმე **რ**ომ გაიმეოროთ ასე: ხან გადახაროთ სტაქანი, **რ**ომ ჰაერის ბუშტები ამოვიდეს და ხან სწორეთ დააყენოთ ხოლმე, თქვენ შეამჩნევთ, **რ**ომ **წ**ყალი თან-და-თან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაღლა-მაღლა ამოიწევს. ბოლოს, როდესაც სტაქნიდამ ჰაერს სულ გამოუშვებთ, მაშინ სტაქანიც გაივსება წყლით.

ცდა 5-ე. დააფარეთ თითი ძაბრის ბოლოს; ჩაგდეთ წყალში პრობკა; ჩაუშვით ძაბრი წყალში ზედ პრობკაზედ ჭურჭლის ძირამდის, როგორც არის ნაჩვენები 4-ხე სურათზედ. თქვენ დაინახავთ, რომ წყალი ძაბრში არ შედის. რატომ? რა უნდა ექმნათ, რომ შეეიყვანოთ წყალი ძაბრში? ძაბრს კი ნუ ამოიღებთ და თითი მოაშორეთ მის ბოლოს. წყალი ზევით წევას დაიწყებს, ამას შეამჩნევთ თქვენ პრობკაზედ, რომელიც ზევით აიწევს. ამ დროს ძაბრიდამ ჰაერი ამოდის მაღლა. დააფარეთ ისევ ძაბრს თითი და მაშინათვე წყალი შეჩერდება, აღარ აიწევს ზევით. რათა? მაიმეორეთ ეს რამდენჯერმე. მანამ სულ გაივსება ძაბრი წყლით, ხან დაუფარეთ თითი, ხან ახადეთ; წყალიც ამ დროს ხან ამოიწევს მაღლა და ხან შეჩერდება. ჰაერიც ამ მდგომარეობაში იქნება. დაისველეთ ცოტათი თითი წყლით და დაიჭირეთ ძაბრის ბოლოსთან: როდესაც ჰაერი ძაბრიდამ გამოსელას დაიწყებს, თქვენ თითზედ სიგრილეს იგრძნობთ. ამითი თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ შეიტყოთ, გამოდის ჰაერი, თუ არა.

სურ. 4.

იშოვეთ ძირ-გახვრეტილი საყავილე ქოთანი და გაიმეორეთ ეს ცდა.

უკანასკნელი ცდა, როგორადაც ორი წინანდელი, ჩვენ გვიჩვენებს შემდეგს: პირველად იმას, რომ წყალს არას დროს არ შეუძლია ჭურჭელში შესელა, სანამდის შიგ ჰაერია მომწყვდეული; მეორედ იმას, რომ ჰაერის გამოყენებისათანავე ჩვენ შეგვაქვს წყალი.

როდესაც რომელიმე ჭურჭელს წყლით ავსებენ, მაგალითებრ, ლიტრას, სურას, კოკას, იმ დროს რა მოსდის ჰაერს? როგორ გაეგოთ, რომ იმ დროს ჭურჭლიდამ ჰაერი გარეთ გამოდის?

აბა ახლა მოიგონეთ, რასა სცდილობდით თქვენ? რა შეიტყეთ თქვენ ყველა თქვენი ცდილობიდგან?

თქვენ შეიტყეთ, რომ: 1) ჰაერს მთელი ჩვენს გარეშემო ადგილი უჭირავს; იგი იყოფება ყველა ცარიელ ჭურჭელში; 2) ერთსა და იმავე დროს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლია რომელიმე საგანი მოთავსდეს, თუ ეს ადგილი ჰაერისაგან არის დაცარიელი, და გამოსასელელი არა აქვს.

სწავლულმა ხალხმა ანუ მეცნიერებმა ჰაერის ეს უბრალო თვისებანი საქმეში გამოიყენეს და დიდი სარგებლობაც გამოიტანეს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ზღვაში გემი ანუ ხომალდი ილუპება. უწინ გემიც და შიგ მყოფი ძვირფასი საქონელიც საუკუნოდ ეღუპებოდა პატრონს. ახლა კი, როდესაც ხალხმა შეიტყო ჰაერის თვისება, ზღვაში საქონლის ჩაცურვინა იმდენად საშიში აღარ არის, რადგან გაუჭირვებლად შეუძლიანთ მისი ამოღება, რაც გინდა ღრმა ზღვა იყოს. ამისათვის აკეთებენ წყალში მატარებელ ზარს. (სურ. 5).

ზღვაში მატარებელი ზარი თავის შეხედულობით ბევრად წაადგება ეკლესიის ზარს; მხოლოდ ეს ზარი ისე დიდია, რომ იმაში ადვილად შეუძლია მოთავსება ორს, სამს, ოთხს კაცსაც. ზარს შიგნით კედლებზედ მიკრული აქვს პატარა სკამი, რომელზედაც ჩამოჯდება ხოლმე წყალში-მავალი კაცი. ზღვის ძირზედ უშვებენ ზარს მაგარის თოკით ანუ ჯაჭვით გემის პირიდამ. კაცი შიგა ზის და გაიცქირება აქეთ-იქით მინის პატარა ფანჯრებიდგან. ეს ფანჯრები ისე მაგრაა გაკეთებული, რომ წყალს სრულებით არ შეუძლია იქიდამ შესვლა. წყალი არც ქვეშიდამ შედის, რადგან ზარში მყოფი ჰაერი ნებას არ აძლევს. ამ გვარად კაცი თავისუფლად სუნთქავს შიგა და, მაშასადამე, თავისუფლად შეუძლია ყველაფერი აკრიფოს ზღვის ძირზედ და მერე ისევ უენებელად დაბრუნდეს მაღლა გემისაკენ, რომელზედაც დგანან სხვა კაცები და ჭახრაკით სწევენ ზარს ზღვიდგან ზევით.

სურ. 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საინტერესო ცნობები.

1) ადამიანის სხეულის კუბიკური ტანის შეტყობა ძნელი არ არის. ამისთვის კაცი უნდა ჩადგეს ოთხ-კუთხიან გობში, რომელიც წყლით უნდა იყოს სავსე. ის სიმაღლე, რა სიმაღლეზედაც ავა წყალი, უჩვენებს გობში მდგომი კაცის კუბიკურს ტანსა. ამის უნდა მიუმატოთ თავის ზომის შესაფერი წყალი. ამ სახით ერთმა ინგლისელმა გამოიანგარიშა, რომ იმისი სხეულის კუბიკური ტანი არის 3,600 კუბიკური დიუიმი, ანუ $2^1/_2$ კუბიკური ფუტი; ისე რომ, მთლათ იმისი სხეული ჩაეტეოდა ყუთში, რომელსაც 16 დიუმი სიმაღლე და სიგანე ექნებოდა.

2) შუ ჯია, როგორც თეკსიო, ნათქვამია, მაგრამ ეს ანდაზა სრულიად მართალი არა ყოფილა. იტალიაში, ზღვის ნაპირად თქვენ შესვდებით ერთ გვარ თევზებს, რომლებსაც უწოდებენ (Scirena aquila), ეს თევზები ქვირითის ყრის დროს გამოსცემენ მესიაურს ხმებს, და რადგანაც ერთს დროს ქვირითს ჰყრის თევზების მთელი დიდი ქარავანი, ითიუმიც წყლიდამ მოისმის საამური ხმა, თითქოს მომღერლების გუნდი გალობსო. სიცილიის კიდეებზედ მოისმის ხმა, რომელიც გვაგონებს ქუხილს, ამ ხმასა სცემს თევზი (Trigla volitans); ამ გვარივე თევზი (Trigla) ზ ღ ვ ი ს მ ე რ ცხ ა ლ ი, ღრუტუნებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3) მცენარეშიაც სასმელი წყალი ყოფილა. ძალიან ბევრი ხეები და ბუჩქები იპოვნეს, რომლებიც ზოგიერთ თავის ნაწილებში აგროვებენ წყალს; და წყალი ხომ ძვიელ სიჭირია ხოლმე მოგზაურებისთვის უწყლო უდაბნოებში. ესრედ წოდებული ,,მოგზაურების ხე'' (Urania speciosa) მადაგასკარზედ, ყველაზედ უფრო ცნობილია ამ შემთხვევაში. იმის ღეროს გულში ყოველთვის ბლომად სდგას ცივი და გემრიელი წყალი. ენლანგან ერომა პორტუგალელმა მოგზაურმა სერპპინტომ აღმოაჩინა ახალი ,,მცენარეების წყარო''. ეს წყარო, აი რა არის: აფრიკაში, მდინარე ზამბეზის მახლობლად, იცის ერთნაირი ჩირგვი, რომელსაც ჰქვია. მუკურა. ეს მცენარე მარილაც რომ დაუფსებელ სიუნდეთ სდგება მოგზაურებისთვის აფრიკის ცხელს უდაბნოებში. მუკურა სიმაღლით იზდება 2—2½ ფუტი. ამ მცენარეს ფესვებზედ ასხია მეჭეჭები, რომლებიც ს

ერა ერთი ბოძი წაუქცევია; მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენ იმისი განცვიფრება, გაპორიტება, ღრიალი, როდესაც ვერას იპოვნის და იძულებული გახდება შერცხვენილი მოშორდეს წაქცეულ ბოძსა.

4) **გერკულანეული ძაღლი.** როგორც მოგეხსენებათ 79 წელს ქრისტეს შობის შემდეგ ცეცხლ-მქმენავმა მთამ ვეზუვიმ ფერფლით ჩამარხა სამი ქალაქი: გერკულანი, პომპეი და სტაბიე. ეხლა ამ ფერფლსა სახლრავ და ქალაქების ნანგრევებს აჩენენ, სხვათა შორის ამ ნანგრევებში, ეხლა, ე. ი. 1800 წლის შემდეგ, იპოვნეს ძაღლის ჩონჩხი, რომელიც 12 წლის ყმაწვილს გადასწოლოდა. ეტყობოდა რომ კეთილს ძაღლს სდომებია ყმაწვილის დაცვა, და მასთან ერთად გამხდარა ერთგულების მსხვერპლად. ძაღლის საყელოზედ დარჩენილა მისი სახელი „დელტა“ და ზედ-წარწერა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ამ ძაღლს თავისი პატრონი სამჯერ დაუხსნია განსაცდელისაგან: ერთხელ დახრჩობისაგან, მეორედ ავაზაკებისაგან, მესამედ მგლებისაგან.



ეროვნული ბიბლიოთეკა



1. (წარმოდგენილი აკაკისაგან) ჯრა სჭკმს, მსოდად წულსა სკმს,
   გულ-სრბი ეოგლეს მსრითოო;
   თუ სელი ვინმემ მოჭ̇ედ,
   ეტირებს ცრემლის ღვრითოო.
2. (იმისგანვე). ოცდა თორმეტი ძმები ვარო,
   რადესაცა ვარო სრულადო,
   ბეერდნი უდგავარ ერთმანერთს,
   მსარს ეაძლეეთ მეგობრულადო;
   და ვი იმის სიმრთელეს,
   ვისაც შეეხვდებით მტრულადო!

№ 1-ის გამოცანების ახსნა:

1). წიგნი. 2) კალამი. 3) ეარანდაში. 4) კალამის საწერი თეცარი ან ქილი.

№ 1-ის რებუსის ახსნა:

თავი მეურეისა სკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგიური ნაწილი

პედაგოგია.

II. ზრუნვა ადამიანზე დაბადებამდის *)

ადამიანზე ზრუნვა, უეჭველია, უნდა იწყებოდეს დიდი ხნით ადრე, მანამ ის დაბადება, რადგან მისი ბედნიერება უმირველესად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი სჩნდება ანუ იბადება იგი ქვეყანაზე: ტან-მრთელი და უსაკლულო, თუ სუსტი, სნეული და ნაკლულოვანი. ეს დამოკიდებულია მრავალ მიზეზებზე, რომელთ შორის დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლების ტანმრთელობას. თუ დედ-მამა ტან-მრთელი და უსაკლულო ადამიანები არიან, მაშინ უმეტესად სადი და უსაკლულო შვილები ეყოლებათ: წინააღმდეგ: სუსტი და ნაკლულოვანიან მშობლებს ხშირად შვილებიც სუსტი, სნეული და ნაკლულოვანი უჩნდებათ. მაგ. ხშირათ მოსდება ხოლმე, რომ თუ რომელიმე მშობელთ-განი სულითი ანუ სხეულითი სნეულია (შეკუს ნაკლული, ჭლეტენანი და სხვა), მაშინ ხშირად იგივე სნეულება გადადის არა თუ მარტო შვილებზე, არამედ შემდეგ შთამომავლობაზედაც. რადგან ესეთი მაგალითები ხშირია, და თითქმის ყველას ეცოდინება, ამიტომ იმათ მოყვანას აქ საჭიროთ არა გვთვლით. ვიტყვით მხოლოდ, რომ აუცილებლად საჭიროა მიაქციონ კეთროვანი ეურადღება იმთ, ვისაც დაქორწინება სურთ, თავიანთ სიმრთელეს, რომ არ გაჰყვნენ ბასუხის მგებელნი თავიანთ შვილებისა და თაობამავლობის წინაშე.

ამ შემთხვევაში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს დედა-კაცს, რადგან ნაყოფი, ჩასასვლის შემდეგ, მის გვამში უნდა ადგრძანდეს და გაიზარდოს. ძველ დროის ისტორიულ საფლოთოგან ყველაზე უფრო კარგათ ბერძნებს ესმოდათ დედის დიდი მნიშვნელობა და

*) იხილე „ნოგაითი"-ს № I დამატება, გვ. 17.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდ უურადღებას აქცევდეს ხოლმე ქალების სხეულის აღზრდასა და გაკაჩოვებასა. რადგან იმითი ჭაზრით, უმთავრესი დანაშულება დედა-კაცისა ის ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიჭეული ჯეროვანი ეურადღება ეველა იმ უმთავრეს ბრობებზე მაინც, რომლებიც ჩვენ ჩამოთვალეთ. მაშინ, უეჭველია, ის მრთელი და წრფელი ეერ დაიბადება ქეეყნიერზე.

III ადამიანი დაბადების დროს.

ახლად დაბადებული ადამიანი წარმოადგენს ისეთ არსებას, რომელმაც სრულიად **არაფერი** არ იცოდა, არც გარეშე ქეეყნიერებაზე, და არც თავის თავზე, მაგრამ ამასთანავე ის არის ისეთი არსება, რომელსაც შეუძლია შემდეგ გაიცნობა და შეისწავლოს **ე�eoფერი**. ერთის მხრით ის არის ისეთი სულიერი არსება, რომელსაც დაბადებიდამე თან დაჰყოლილი აქვს, როგორც **ძალთა ოგანიზაცია** სწავლის შესახებ, ისე ეოველი **ნიჭი** ანუ **ძალა**, რომელიც კი საჭიროა ამისათვის; მეორეც, მისი სულიერი არსება არის **ხორც-შესხმული** და აღჭურვილია **ხუთი გარეგანი გრძნობითა**: მხედველობით, მსმენელობით, შეხებით, ენახვით და გემოვნებით, რომელთის საშუალებითაც მას შეუძლია გაიცნოს ეოველი საგანი და მისი თვისებანი. **უგანოუ** ადამიანს დაბადებიდამე არა ჰქონია და მანიჭებული ის ძალები, რომელიც საჭიროა სწავლის შესახებ, მაშინ მისი გარეშეა, აღზრდა და გარეთაურება სწავლა-გარეთოლებაში, **უეჭველად**, შეუძლებელი იქნებოდა და **ეამისად** ეერც კეტობრობა მიაღწეოდა იმ წარმატებამდის, რომელშიაც ესლა იმყოფება.

მაგრამ მატარა ადამიანი დაბადების დროს ისეთ **სულიერ-ხორციელ** არსებას შეადგენს, რომელსაც შეუძლია საკვირველად გაიზარდოს და განვითარდეს, როგორც სულიერი თვისი მხრით, ისე ხორციელით და შეიქმნას სრული ბედნიერი. **მხოლოდ** ამისათვის **ეუტიელებულად** საჭიროა მისთვის **აღზრდა**. აღზრდასა და **ეარეკიშობას** ითხოვს როგორც სულიერი მისი ბუნება, ისე ხორციელი.—**სული** და ხორცი ადამიანისა ისე მჭიდროდ შეკავშირებულია ერთმანეთთან, რომ ერთის მეორესთან უმეორესად განსხვა და აღზრდა სრულ-აღზრდად ეერ ჰითვლება და თითეულის შეუძლებელია არის. **ეველ** დროის მეცნიერება ამბობდენ, რომ **სული** და **ეელიერი სული** მ[illegible]ოდ **აღ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ძლიერ სნეულშა იმეოფებაო, და მართალიც არის: თუ ადამიანი სნეული სუსტი, გაუსნელი და უძლურია, მაშინ, უეჭველად, მისი სულიც სუსტი და უძლური იქნება.

აქედან ცხადია სნსხს, რომ ადამიანისთვის საჭიროა **ორ გვარი აღზრდა:** აღზრდა **სნეულისა** და აღზრდა **სულისა;** უმისოდ შეუძლებელია იქედი გვქონდეს, რომ ადამიანი ბედნიერი და სრული არსება გახდეს.

როგორც საზოგადოთ სნეულის გასსნას და აღზრდას, ისე სულის აღზრდასა და განვითარებას, სნეა-და-სნეა პირობები და საშუალებები საჭირაოთ. ამიტომ მეუფლებულად საჭიროა იცოდნენ მშობლებმა, მასწავლებლებმა და საზოგადოთ აღმზრდელებმა, როგორ და რა საშუალებით შეიძლება, ერთის მხრით, სნეულისა და მისი ფიზიკური ძალების გასსნა და გაგარეშება, მეორეს მხრით, სულისა და მისი ნიჭების აღზრდა და განვითარება.

თუმცა ხორცი და სული, რადგან ორივე ეგინი ერთის განუყოფელს ადამიანის არსებას შეადგენენ, ერთად და ერთსა და იმავე დროს უნდა იზრდებოდნენ, მაგრამ, თუ გვინდა, რომ უკეთესად და დაწვრილებით გავიგოთ, ჩვენ შეგვიძლია ცალკ-ცალკე წარმოვიდგინოთ იმითი აღზრდა და გამოვეკვლიოთ ის პირობები და საშუალებები, რომლებიც საჭიროა იმითი განვითარებისათვის.

მაგ ენდა პირველად შეუდგეთ ჩვენ ადამიანის სნეულის ანუ ხორცის აღზრდის აღწერას, სოდო შემდეგ განვისილოთ სულისა და მის ნიჭთა **აღზრდა.**

წყალტუბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგალითო გაკვეთილები.

წერა-კითხვის გაკვეთილები.

გაკვეთილი მეორე

მასწავლებელი.—რა ქვია ამ სელს (აჩვენებს მარჯვენა ხელს.

მოსწავლე.—მარჯვენა ხელი.

— ამას (აჩვენებს მარცხენას).

— მარცხენა.

— ახლა ეკვლამ ზვითი მარჯვენა ხელი, მარცხენა! მოიკიდეთ მარჯვენა ხელი მარჯვენა ეურზედ; მარცხენა ხელი მარცხენა ეურზედ! ბაბა, კოტე, დასთვალე, რამდენი თითი გაქვს მარცხენა ხელზედ.

— (სთვლის). ხუთი.

— მარჯვენა ხელზედ?

— ხუთი.

— ბაბა, ვინ დასთვლის, თრიკი ხელებზედ რამდენი თითი აქვს კაცს?

— ათი? (მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეთ ცერსა და ჭკითხავს): ამ თითს რა ქვია?

— ცერი.

ამ გვარად მასწავლებელი ახსწავლის მოსწავლეთ თითების სახელებს.

— ააშვარეთ ცერი, მაჩვენებელი თითი, შუა-თითი, უსახელო, ნეკი.. რომელი თითია ყველაზე უგრძესი, ყველაზე უმოკლესი?

— შუა თითი, ნეკი, ცერი.

— თითების ბოლოებზედ რა გაკვქვს?

— ფრჩხილები.

— ძალლს, კატას, ქათამს რა აქვთ ფრჩხილების მაგიერი?

— ჭლანჭები.

— თითებით რას ვაკეთებთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გსწერთ, გსტკივნ, ბირკვლარს გიწერთ, გეკამთ, ესკამთ და სხ.

— მაშასადამე, თითები საკმარია კაცისათვის თუ არა?

— მდიერ საკმარია.

— ნიკო, გაიმეორე სულ, რაც ხელებზე და თითებზე გიდაბარაკეთ.

ნიკო იმეორებს: კაცს აქვს ორი ხელი: მარჯვენა და მარცხენა; თითო ხელზე აქვს ხუთი თითი: ფერი, მაჩვენებელი, შუა-თითი, უსახელო თითი და ნეკი. თითებიან ბოდოზე კაცს აქვს ფრჩხილები და კატას, ძაღლს, ქორს, ქათამს და სხვ.—კლანკები. თითები ძალიან საკმარია კაცისათვის.

— გაიმეორე შენ, გასო!—ადექით! ერთი! დასხედით: ორი! ესლა გასოქვით ერთად: კაცს ცალ ხელზე აქვს ხუთი თითი.

მასწავლებელი და მოსწავლენი იტყვიან ერთად რამდენიმე ჯერ

— გაიმეორე შენ, გასო, კოტე, ილიკო...—რამდენი სიტყვა არის აქ?

— ექვსი.

— რომელია ბირკვლი, მეორე, მესამე... მეექვსე?—გასოქვით ერთად სიტყვა: თ ი თ ი (იტყვიან რამდენიმე ჯერ).—სოქვი შენ, ლუკა, ბუტო, ბიტო .. —ყური მიგდეთ: ესლა მე ვიტყვი ამ სიტყვას (ამბობს ბრძანად): თი—თი, თი—თი, თი—თი.—ამ სიტყვის წარმოთქმაზე რამდენჯერ გაკვიდე ბირი?

— ორჯერ.

— ბირკვლად რა ბირი გაკვიდე, რა წარმოგსთქვი?

— თ ი.

— მეორეზე?

— კიდევ თ ი

— ყური მიგდეთ: სიტყვის ნაწილს, რომელსაც წარმოგსთქვამთ ერთის ხმის ამოღებით, ეძახიან მარცვალი. გაიმეორე, რაც მე გსთქვი, სეიმან, სოსო, სასდრო.... ესლა გსთქვით ყველამ ერთად (ამბობენ): სიტყვის ნაწილს და სხვ.... კიდევ, კიდევ, კიდევ... ესლა მითხარით: სიტყვა თ ი თ ი რამდენი მარცვლისაგან შესდგება?

— ორი მარცვლისაგან.

— რომელია ბირკვლი?

— თ ი.

— მეორე?

— თ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყური მიგდეთ: თ ი ი ი ი ი.—რა გსთქვი?

— თ ი—პირველი მარცვალი სიტყვისა თ ი თ ი.

— გსთქვათ ერთად: თითი.—კ ი დ ე ვ, კ ი დ ე ვ...—სთქი შენ, კოტე, გსმა, სასმა.... მითსრეთ, რა ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვბა, ვინ დაწყობს ამ სხოვებს ისე, რომ გამოგიდეს მარცვალი თი.

ერთი მოსწავლეთაგანი მიდის კედლასა დაფასთან და აწყობს ამ სხოვებიდგან მარცვალს თი; მასწავლებელი კიდევ აძლევს სხოვებს თ და ი, მოსწავლე შეადგენს მეორე მარცვალს. ჯერ ეს მარცვლები ორიან ერთმანეთზე დაშორებული.

— ვბა, ვინ წაიკითხავს იმას, რაც დაფაზედ არის დაწერილი?

მოსწავლე კითხულობს: თი—თი.

შემდეგ მასწავლებელი მიუახლოვებს ამ ორ მარცვალს ერთმანეთს და ხელ-ახლა წაკითხავს; გამოგა სიტყვა თითი.

— ვიფიქოთ სიტყვა ათი: რამდენი მარცვალისაგან შესდგება ეს სიტყვა?

— ორი მარცვალისაგან.

— მითხარით პირველი მარცვალი.

— ა...

— მეორე?

— თი.

— აი, ეს სხოვები; ვბა, ვის შეუძლია დაწყოს ეს სხოვები ისე, რომ გამოგიდეს სიტყვა ათი? ეხლა წაკითხოთ სულ, რაც სწერია დაფაზე (კითხულობს ერთი): ათი თითი.

— ადექით, დასხედით!... ვინ მეტყვის, რა ხმა ვისწავლეთ დღეს?

— ხმა თ.

— ეხლა ვისწავლოთ ასო თ-ს წერა: ამოიღეთ დაფები და გრიფელები; მოემზადენით! მიუერეთ: ასო თ ასე იწერება: თ, თ, თ—ერთი, ორი: ერთი, ორი; ერთი ორი.—დასწერეთ ხმამ ჯერ ეს ასო. (სწერენ). ეხლა უკვლამ ერთად დასწერეთ. მოემზადენით: ერთი, ორი, ერთი ორი... დასწერეთ სიტყვა ათი (სწერენ), სიტყვა თითი. ეხლა უკვლამ ერთად დასწერეთ სიტყვები: ათი თითი. მოემზადენით: ერთი; ერთი ორი, ერთი. ერთი, ორი: ერთი; ერთი, ორი; ერთი. კიდევ, კიდევ...

— შეინახეთ დაფები.

გაკვეთილი თავდება.

ხეველი.

რედაქტორი-გამომცემელი ვ. ს. ლულაძე.